

ირინე ასათიანი

## ჭანურ-მეგრულ ენობრივ ცვლილებათა გეგმისა და მიმართულების გობი შტრიხი

ჭანური და მეგრული ერთი ენის — პირობითად ამ ენას სამეცნიერო ლიტერატურაში ზანურს, ან ზოგჯერ კოლხურს უწოდებენ — კილოკავურად გამიჯნული ერთეულებია, ორი სხვადასხვა კილოა ერთი ენისა.

მკვლევართა ერთ წყებას ადრეც და დღესაც ჭანურსა და მეგრულს შორის შენიშნული სტრუქტურული სხვაობანი — და არა ბგერათშესატყვისობა — საფუძველს აძლევს მეგრული და ჭანური სხვადასხვა ენად მიიჩნიონ. თუმცა ბგერათშესატყვისობანი — ენათა გამიჯვნის აუცილებელი კრიტერიუმი, როგორც ცნობილია, ამ ორ ერთეულს შორის არ არსებობს — ორივე კილოს ერთნაირი შესატყვისი აქვს სხვა ქართველურ — ქართულ და სვანურ ენებთან. ხოლო განსხვავებანი ჭანურისა და მეგრულის ფონეტიკასა და მორფოლოგია-სინტაქსში დიალექტურ სხვაობათა ფარგლებს არ სცილდება.

თვალში საცემია ჭანურისა და მეგრულის ლექსიკურ შედგენილობას შორის სხვაობა, რაც ჭანურში უცხო ენის ზეგავლენის შედეგია.

მოდლებულმა უცხო ლექსიკამ ფონეტიკასაც დაამჩნია კვალი. ნასესხებ სიტყვას შემოჰყვა ჭანურისათვის და, საერთოდ, ქართველური ენებისათვის უცხო ფ ბგერა. მან არანასესხებ, საკუთარ ლექსიკაშიც შეიძლება გაიყდეროს (მოჭთი < მო-ფ(<ვ)-თი...), ქართული ცოცხალი მეტყველების მსგავსად სესხებასთან არც კი ჰქონდეს კავშირი.

ასევე უცხო ენის (ბერძნულის, თურქულის) ზეგავლენას უნდა მიეწერებოდეს ტ, წ, ჰ მომდევნო ყ-იანი სპეციფიკური თანხმოვანთკომპლექსის ცვლილებანი, ქართველურ ენათათვის უჩვეულო: ჭანურში ეს კომპლექსები ვერ ძლებს — ყ იცვლება კ-დ, ან სულ იკარგება.

რაც შეეხება ჭანურისა და მეგრულის მორფოლოგია-სინტაქსში არსებითი სხვაობანი, შენიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, შემდგომი ჩაძიებისას გარკვეულ იგივეობას ავლენს.

პირველ ყოვლისა, ასეთად მიიჩნევა განსხვავება ჭანურისა და მეგრულის გარდაუვალი ზმნის აწმყოს ფუძის აგებულებაში. განსხვავება თვალსაჩინოა სუფიქსაციის მიხედვით. ჭანური გარდაუვალი ზმნის აწმყოს I და II პირში, მხოლოდით რიცხვში წარმოაჩენს -ერ, -ურ სუფიქსებს, მეგრულისათვის უცხოს. ამ სუფიქსთა ტოლფარდი ფუნქციისა მეგრულში -ქ სუფიქსია (ჩიქობავა, 1936; გვ. 112, 115; ლომთათიძე). ყიფშიძისეული ორიოდ მეგრული ფორმა ჭანურისებური სუფიქსაციით — ბხ-ერ-ქ, იბჯინ-ერ-ქ

(ყოფშიძე, 1914, გვ. 671), კონტამინაციის შედეგად იქნა მიჩნეული (ჩიქობავა, 1936, გვ. 135). მაგრამ თითოეორივე ლიტერატურაში დასახელებული ფორმა არც გამონაკლისი ყოფილა და არც შემთხვევითი. -ერ, -ურ სუფიქსიანი მეგრული ზმნა სხვადასხვადასტურდა გამოქვეყნებულ ტექსტებსა და ცოცხალ მეტყველებაში. ეს მეგრული სათვის უჩვეულო ზმნის ფორმები შენიშნულია მთის სამეგრელოს სოფლებში ჯვარსა, ლეშამუგესა და ჩქვალერში. მისი მთქმელი ყველა ღრმა მოხუცია. შვილებისა და შვილიშვილებისათვის იგი უცხოა, „მოხუცები ამბობენ ასე“-ო (ასათიანი, 1973).

ამრიგად, ჭანურისა და მეგრულის ერთიანობის კვალმა თავი იჩინა გარდაუვალი ზმნის აწმყოს ფუძის აგებულებაში.

აწმყოს ფუძისეული -ერ სუფიქსის იდენტური უნდა იყოს ჭანური გარდაუვალი ზმნის თურმეობითის -ერ სუფიქსი, მეგრულისათვის თითქოს უცხო, ასევე მთის სამეგრელოს მოხუცთა მეტყველებაში დადასტურებული (ასათიანი, 1970). თურმეობითის წარმოება ჭანურშივე განსხვავდება — კილოკავურად -ერ სუფიქსიანი თურმეობითი მხოლოდ ხოფურ კილოკავშია.

მეგრულის ჭანურთან (ხოფურთან) საერთო წარმოების კვალი წარმოაჩინა გარდაუვალი ზმნის თურმეობითმაც.

ჭანურ-მეგრული ზმნის კიდევ ერთ განსხვავებულ ფორმათწარმოებაზე მიუთითებენ ლიტერატურაში. საკითხი ეხება პოტენციალისისა და ვნებითის წარმოებას. ჭანურში მათ საერთო წარმოება აქვთ (ი/ა-ჭარ-ენ „ი/ეწერება“ და „შეიძლება დაიწეროს, დაეწეროს“), მეგრულში — განსხვავებული — ი/ეჭარ-უნ ვნებითია, ი/აჭარ-ენ — პოტენციალისია (ჩიქობავა, 1936, გვ. 113-114). იქვე ჭანურ ტექსტებში ფიქსირებული მეგრულისებური წარმოების გო-ი-თურ-აფ-უ-თ (ჩიქობავა, 1936, გვ. 57) ცალკეულ შემთხვევად არის მიჩნეული. მართალია, ცალკეულ შემთხვევად კვალიფიცირებულია, მაგრამ ფაქტი შენიშნულია — ვნებითი გაემიჯნა პოტენციალისის ფორმას კაუზატივურ ფუძეში და ამას აქვს სისტემატური ხასიათი. კაუზატივური ფუძე ჭანურისა მეგრულისებურად აწარმოებს ვნებითს. ნიშანდობლივია, რომ პროცესი ჭანურშიც ისე წარიმართა, როგორც — მეგრულში. უ ხმოვანსუფიქსიანი ვნებითის წარმოებას მიეკუთვნა, ე ხმოვნიანი სუფიქსი პოტენციალისის დარჩა, იმ განსხვავებით, რომ პოტენციალისისა და ვნებითის გამიჯვნის პროცესი მეგრულში ბოლომდეა მიყვანილი, ხოლო ჭანური კაუზატივური ფუძეებით შემოიფარგლა. არაკაუზატივურ, მარტივ ფუძეში უ ვარიანტიანი სუფიქსით ეწარმოება ვნებითი აქტიური შინაარსის ზოგ პასიურ ზმნასაც: ქოგელაბ-უნ (ჩიქობავა, 1936, გვ. 129), ქეისელ-უნ (იქვე, გვ. 17); ნახოლ-ურ (ოჩემჩ.მასალ.)...

ამრიგად, „სადაც ჭანური თითქოს არსებითად შორდება მეგრულს, ახალ მასალათა გამოყენებამ და ძველის უფრო ღრმად შესწავლამ მსგავსება და თანამთხვევაც კი გამოამჟღავნა“ (ჩიქობავა, 1936, გვ. 205).

ჭანურ-ჭანურ სხვაობათა შემთხვევაში ძველი, ამოსავალი თითქოს ჭანურშია დაცული, მეგრული მის სახეცვლილებას წარმოგვიდგენს, რისი უაქტიურობელი წარმოდგენილი მაგალითებიც არის.

განვითარების განსხვავებულ ტენდენციას განსხვავებული ფაქტორები უწყობს. ჭანურში ცვლილებანი ზედაპირულია, გარე ფაქტორებით გამოწვეული, უცხო ენის ზეგავლენის შედეგია ხშირ შემთხვევაში. ბუნებრივი განვითარება ჭანურისა უცხოენობრივი გარემოს ზემოქმედებით შეზღუდულია, ნაკლებია, ცვლილებას ნაკლებად განიცდის. ამითვე აიხსნება ჭანურის პარტიკულარული უნიფორმაციისაკენ. მეგრულის ცვალებადობა თავისუფალია, უფრო მეტად განვითარებისაა ქართველურ ენათა იმანენტური ბუნების განმარტობათა მიხედვით. ამით აიხსნება ჭანურის არქაიზმები. თვით უფრო მეტად, კერძოდ ზმნა არაერთ, მეგრულში გაუჩინარებულ და ჭანურში შენარჩუნებულ, არქაულ ძირს გამოავლენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი, 1970 — ასათიანი ირ., ერ-ე სუფიქსიანი თურმეობითი მეგრულში, იკე XVII, თბ., 1970 წ.
2. ასათიანი, 1973 — ასათიანი ირ., -რ სუფიქსის კვალი მეგრულ ზმნაში, იკე, XVIII, თბ., 1973 წ.
3. ასათიანი, 1987 — ასათიანი ირ., სუფიქსაციისათვის ჭანური ვნებითის ფორმაში, საენათმეცნიერო საკითხავები, მუშაობის გეგმა, თბ., 1987 წ.
4. ლომთათიძე, — ქ.ლომთათიძე, -ქ სუფიქსისათვის მეგრულ ზმნაში, იკე, I, თბ., 1946 წ.
5. მარი — Н. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем, СПб., 1910.
6. ყიფშიძე, 1914 — И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб., 1914.
7. ყიფშიძე, 1939 — იოსებ ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, ტფ., 1939 წ.
8. ჩიქობავა, 1936 — არნ.ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტითურთ, ტფ., 1936 წ.
9. ჩიქობავა, 1937 — არნ.ჩიქობავა, პოტენცილისის კატეგორია ქართველურ ენებში, ენიმკის მოამბე, I, ტფ., 1937 წ.
10. ჩიქობავა, 1942 — არნ.ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942 წ.

## IRINE ASATIANI

### SOME CHARACTERISTIC FEATURES AND DIRECTIONS OF THE CHAN-MEGRELIAN LANGUAGE CHANGE

1. The differences between Chan and Megrelian in phonetics, morphology and syntax do not go beyond dialectal changes; striking difference is only marked in the vocabulary of Chan dialect affected by the abundance of Greek and Turkish borrowings.

2. Further analysis of the few seemingly structural differences featured in the specialist literature reveals certain sameness of forms. Namely:

a) stem suffixation of Chan intransitive verbs as the first and second person markers is also sporadically traced in the elderly people's speech of the mountainous region of Megrelia which can be qualified as archaism.

b) The same mountainous speech reveals the formation of *Turmeobiti* of intransitive verb by means of *-er* suffix copying the Chan pattern. Originally *-er* suffix is identical to *-er* suffix of the present tense stem suffix and the latter also looks archaic.

c) It has been attested that in Chan dialect the verb similar to Megrelian patterns shows difference in the formation of potentialis and passive - although Chan maintains initial state and the change has taken place only in causative stems.

3. In case of differences attested between Chan and Megrelian the former is likely to preserve older variants and the latter merely presents the changed version of the basic form. Different tendencies in the developments are conditioned by different factors.

4. Changes in Chan is rather superficial, affected by borrowings, by extra-linguistic factors, by the influence of the foreign linguistic environment that constrained natural development of the Chan dialect and made it less liable to alternation. This also explains the tendency of the Chan dialect towards unification.

Unlike Chan, Megrelian enjoys complete freedom of change characteristic to the development inherent to Kartvelian languages. This also explains archaic nature of the Chan dialect. That is why Chan vocabulary, and particularly the verb, reveals the stems which have disappeared in Megrelian but are still survived in Chan.